

**საქართველოს რაგბის კავშირის  
გამგეობის სხდომის  
ოქმი**

1 აგვისტო, 2022 წ. | სასტუმრო „მარიოტი თბილისი“

**ესწრებოდნენ:**

**გამგეობის წევრები:**

- მერაბ ანთაძე (დაბადებული 04.08.1952 წ., პირადი № 01005001907)
- კობა გიორგაძე (დაბადებული 26.10.1979 წ.; პირადი № 60001009009)
- მამუკა გორგოძე (დაბადებული 14.07.1984 წ., პირადი № 01031003677)
- თორნიკე გოგებაშვილი (დაბადებული 16.01.1989 წ.; პირადი № 12001014781)
- აკაკი დავითულიანი (დაბადებული 01.06.1975 წ., პირადი № 12001031106)
- დავით კაჭარავა (დაბადებული 06.09.1975 წ.; პირადი № 01035000140)
- გიორგი კობახიძე (დაბადებული 23.11.1953 წ., პირადი № 01011021299)
- იოსებ ტყემალაძე (დაბადებული 25.12.1976 წ., პირადი № 01024009582)
- გელა ქობულაძე (დაბადებული 30.04.1986 წ.; პირადი № 61006019618)
- გრიგოლ ქერაშვილი (დაბადებული 16.03.1956 წ.; პირადი № 35001058678)
- ალექსანდრე ხვედელიძე (დაბადებული 21.10.1965 წ., პირადი № 01014002287)

**სხდომის მომწვევი:** დავით კაჭარავა, სრკ-ს გამგეობის თავმჯდომარე

**სხდომის თავმჯდომარე:** დავით კაჭარავა

**სხდომის მდივანი:** ნატალია კურტანიძე

**სხდომაზე დამსწრე სხვა პირები:**

- სრკ-ს ოპერაციების დირექტორი ალექსანდრე გუგავა
- სრკ-ს პროფესიული რაგბის განვითარების მენეჯერი ივანე დავითაშვილი
- სრკ-ს სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე მირიან თავზარაშვილი
- სრკ-ს მსაჯთა მართვის სამსახურის მენეჯერი ლუკა კილასონია
- სრკ-ს საშეჯიბრო სამსახურის ხელმძღვანელი ნიაზ მამრიკიშვილი
- სრკ-ს იურისტი ედუარდ ნაჭყებია
- სრკ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერი გურამ ნიკოლაშვილი
- სრკ-ს მსაჯთა მართვის სამსახურის ხელმძღვანელი დავით შუბითიძე
- შესაბამისი საკითხის განხილვის დროს Zoom-ით მოხდა ელიტურ მსაჯთა განვითარების მენეჯერის დევიდ მაკჰიუს ჩართვა

**სხდომამ განიხილა დღის წესრიგში შევამალი შემდეგი საკითხები:**

1	ეროვნული ნაკრების პრემირების სქემა
2	შვიდკაცა და შვიდექალა ნაკრებების პრემირება
3	დიდი 10-ის კლუბების მიერ „შავი ლომის“ მორაგბეების განაცხადში შეყვანაზე არსებული შეზღუდვის შესახებ მსჯელობა
4	შიდა ჩემპიონატის საბაზისო დაფინანსების განაწილების წესის დამტკიცება (ესპუარები)
5	ჭაბუკთა ლიგებში მორაგბეთა რეგისტრაციის ვადის გაგრძელება
6	მსაჯთა მართვის სამსახურის ანგარიში
7	რაგბის კავშირის ვიზუალის რებრენდინგი / ბორჯღალი <i>გურამ ნიკოლაშვილი</i>
8	საშეჯიბრო დებულების ახალი რედაქციის წარდგენა
9	კლუბ „ყაზბეგისთვის“ შეღავათების დაწესება
10	კლუბების არსებული მდგომარეობა (სპონსორები, აუდიტი)
11	ზაფხულის ტესტების შეფასება
12	რეგიონალურ ლიგაში ტრანსფერებზე დაწესებული 3-კაციანი შეზღუდვით გამოწვეულ პრობლემებზე მსჯელობა

**სხდომამ გადაწყვიტა:**

- |   |  |
|---|--|
| 1 | <p>პირველ საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა <b>ეროვნული ნაკრების პრემირების სქემას</b>, გამგეობის წევრებმა მოისმინეს გამგეობის თავმჯდომარის დავით კაჭარავას განმარტება პრემირების ახალი, არსებულ მოთხოვნებზე უკეთ მორგებული, ნაკრების წევრებთან უკვე შეთანხმებული სისტემის თაობაზე. <b>შემოთავაზებული პრემირების სქემა დამტკიცდა ერთხმად.</b></p>  |
| 2 | <p>მეორე საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა <b>შვიდკაცა და შვიდექალა ნაკრების პრემირებას</b>, გამგეობის წევრებმა მოისმინეს გამგეობის თავმჯდომარის დავით კაჭარავას განმარტება პრემირების არსებულ სისტემასთან დაკავშირებით. <b>მსჯელობის შედეგად გამგეობის წევრებმა ერთხმად დაამტკიცეს არსებული სქემა.</b></p> <p>დამატებით აღინიშნა, რომ უახლოეს პერიოდში (სავარაუდოდ - მაღალი მიღწევების დირექტორის მოწვევის შემდგომ პერიოდში) სასურველია შვიდკაცა და შვიდექალა ნაკრებების ანგარიშის და განვითარების სტრატეგიული გეგმის შესწავლა.</p> |

3

გამგეობის წევრებმა იმსჯელეს წინა სეზონში კლუბების მიერ „შავი ლომის“ მორაგბეების განაცხადში დამტებაზე დაწესებული შეზღუდვის თაობაზე (შეზღუდვა გულისხმობდა 1 კლუბს შეეძლო დაემატებინა არაუმეტეს 4 მორაგბისა; სატრანსფერო დებულების ახალ რედაქციაში აღნიშნული შეზღუდვა აღარ იყო გათვალისწინებული) და განიხილეს აღნიშნულთან დაკავშირებული ყველა რისკი და შესაძლო უპირატესობა. არსებული რისკების გათვალისწინებით, რაც განსაკუთრებით მძაფრდება ახლო მომავალში შიდა ჩემპიონატის ფორმატის შეცვლის გამო, **გამგეობის წევრებმა 10 ხმით 1-ის წინააღმდეგ გადაწყვიტეს დატოვონ არსებული შეზღუდვა 2022-2023 წწ სეზონში და დაუბრუნდნენ მის განხილვას 2023-2024 წწ სეზონის დაწყებამდე.** აკაკი დავითულიანმა, რომელმაც თავისი ხმა მისცა აღნიშნული შეზღუდვის დაბრუნების საწინააღმდეგოდ, განმარტა, რომ მისი აზრით მნიშვნელოვანია გუნდებისთვის და მოთამაშეებისთვის აღნიშნულ საკითხში არჩევანის თავისუფლების დატოვება.

4

მეოთხე საკითხად, გამგეობის თავმჯდომარემ წარუდგინა გამგეობის წევრებს შიდა ჩემპიონატის საბაზისო დაფინანსების განაწილების წესის პროექტი, რომელიც მოიცავს შიდა ჩემპიონატის ყველა ლიგისთვის გათვალისწინებული დაფინანსების გამოყოფის მოთხოვნებს, ვადებს და თანხების ოდენობას. **გამგეობის წევრებმა იმსჯელეს დუბლ-შემადგენლობების (ესპუარტა) ლიგის საბაზისო დაფინანსების ოდენობაზე და ერთხმად დაადგინეს, რომ 2022-2023 წწ სეზონში ის უნდა განისაზღვროს 40000 ლარით.** ასევე აღინიშნა შიდა ჩემპიონატში მოასპარეზე კლუბებისთვის საბაზისო დაფინანსების I ტრანშის შეძლებისდაგვარად მოკლე ვადაში გამოყოფის საჭიროება, ვინაიდან ჩემპიონატის დაწყება დაკავშირებულია მნიშვნელოვან ხარჯებთან.

5

მეხუთე საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა რეგიონალურ და ჭაბუკთა ლიგებში მორაგბეთა რეგისტრაციის პრობლემებს, სრკ-ს სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარემ მირიან თავზარაშვილმა და იურისტმა ედუარდ ნაჭყებამ გამგეობის წევრებს განუმარტეს, რომ რეგიონალურ ლიგაში, დაბალი ანაზღაურების და არასტაბილური მდგომარეობის გამო, ვერ ხერხდება მორაგბეებთან ხელშეკრულებების გაფორმება სრკ-ს მიერ ახალი სატრანსფერო დებულებით დადგენილი შაბლონების გამოყენებით.

---

ამასთანავე, ჭაბუკთა ლიგებში მორაგბეთა რეგისტრაციის წინასწარ განსაზღვრულ ვადებში დასრულება შეუძლებელია მორაგბეთა მშობლების/მეურვეების ადგილზე არყოფნის გამო.

აღნიშნულის გათვალისწინებით, გამგეობის წევრებმა ერთხმად დაადგინეს, რომ

- რეგიონალურ ლიგაში მორაგბეთა რეგისტრაცია დაშვებულ იქნას თავისუფალი ფორმის ხელშეკრულებებით;
- ჭაბუკთა ლიგებში მორაგბეთა რეგისტრაციის ვადა გახანგრძლივდეს 19 აგვისტოს ჩათვლით.

6

მეექვსე საკითხად, გამგეობის წევრებმა მოისმინეს მსაჯთა მართვის სამსახურის ანგარიში, რომლებიც წარადგინეს მსაჯთა სამსახურის ხელმძღვანელმა დავით შუბითიძემ, ელიტურ მსაჯთა განვითარების მენეჯერმა დევიდ მაკჰიუმ (ჩაერთო გამგეობის სხდომაში Zoom-ის მეშვეობით) და მსაჯთა მართვის სამსახურის მენეჯერმა ლუკა კილასონიამ.

თავიანთ მოხსენებაში, მსაჯთა მართვის სამსახურის წარმომადგენლებმა ვრცლად ისაუბრეს მსაჯთა სამსახურის მიერ შიდა ჩემპიონატის ხარისხის ასამაღლებლად გადადგმულ ნაბიჯებზე, მ.შ. აღნიშნეს წინა სეზონში განხორციელებულ თამაშის ტემპის აჩქარების პროექტის დადებითი როლი და მოახდინეს მიღწეული შედეგების დემონსტრირება მსოფლიო რაგბის ანალიტიკური ბაზის მონაცემებზე დაყრდნობით. თავის მოხსენებაში, მათ საქართველოს შიდა ჩემპიონატის მსაჯობის სტანდარტი და ქართველ მსაჯთა ცნობადობის დონე შეაფასეს როგორც მაღალი. მეორეს მხრივ, მათ ხაზი გაუსვეს იმ ფაქტს, რომ მსაჯთა რაოდენობა ამჟამად მცირეა, ხოლო ახალ მსაჯთა მოზიდვის ტემპი - კვლავ დაბალი, რაც გამოწვეულია მორაგბეებში დისციპლინის დაბალი დონით (თუმცა სრკ-ს პრინციპულმა მიდგომამ და გამკაცრებულმა სადისციპლინო წესებმა ხელი შეუწყო სათამაშო გარემოს უსაფრთხოების ხაირსხის გაზრდას) და მსაჯებისადმი უნდობლობით, რის მოსაგვარებლადაც აუცილებელია მსაჯის პროფესიის პოპულარიზაცია, მსაჯის როგორც რაგბის თამაშის აუცილებელი მონაწილის და არა აუტსაიდერის წარმოჩენა, მსაჯის კარიერის არჩევისთვის დამატებითი (თუნდაც ფულადი) მოტივაციის შექმნა. ამასთანავე, გასაზრდელია მსაჯთა მასწავლებლების რაოდენობაც, რაც საშუალებას მისცემს მსაჯთა მართვის სამსახურს იმუშავოს პოტენციურ მსაჯთა უფრო დიდ ჯგუფთან. აღინიშნა, რომ მსაჯების რაოდენობის ზრდას მნიშვნელოვნად შეუწყობდა ხელს მსაჯთა სწავლების კერების რაოდენობის გაზრდა (ამჟამად არსებობს ორი ასეთი კერა - თბილისში და ქუთაისში).

---

---

მოხსენების მოსმენის შემდეგ, სრკ-ს პრეზიდენტმა და გამგეობამ დაავალეს მსაჯთა მართვის სამსახურს წარუდგინონ სრკ-ს წლიური ბიუჯეტი, ასევე - შეიმუშავონ და გამგეობის უახლოეს სხდომაზე წარმოადგინონ მსაჯთა რაოდენობის და პროფესიონალიზმის ზრდის დეტალური გეგმა.

7

სრკ-ს საზოგადოებასთან ურთიერთობის მენეჯერმა გურამ ნიკოლაშვილმა წარუდგინა გამგეობის წევრებს სრკ-ს ვიზუალური ატრიბუტიკის რებრენდინგის პროექტის მეორე ეტაპის შედეგები. წარმოდგენილ ვარიანტებზე მსჯელობის შემდეგ, სრკ-ს პრეზიდენტმა შესთავაზა გამგეობის წევრებს იფიქრონ რებრენდინგის საკითხზე და საჭიროებისამებრ გაიარონ კონსულტაციები შესაბამისი დარგის სპეციალისტებთან.

აღნიშნული საკითხის განხილვის შემდეგ იოსებ ტყემალაძემ გამგეობის სხდომა დატოვა.

8

მერვე საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა საშეჯიბრო დებულების ახალ რედაქციას, სრკ-ს ოპერაციების დირექტორმა ალექსანდრე გუგავამ, საშეჯიბრო სამსახურის ხელმძღვანელმა ნიაზ მამრიკიშვილმა, პროფესიული რაგბის განვითარების მენეჯერმა ივანე დავითაშვილმა და სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარემ მირიან თავზარაშვილმა გამგეობის წევრებს დეტალურად განუმარტეს 2022-2023 წწ. სეზონის საშეჯიბრო დებულებაში შეტანილი ძირითადი ცვლილებები. კერძოდ:

- შეიცვალა დიდი 10-ის, პირველი და რეგიონალური ლიგის გადართამაშების წესი 2022 წლის 17 ივნისის გამგეობის სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილების შესაბამისად;
- გაიწერა დუბლების ლიგის გადართამაშების სისტემა;
- განახლდა და თანამედროვე სტანდარტებს მოერგო საშეჯიბრო დებულების ძირითადი ნაწილი;
- ყველა ლიგის დანართში გაიწერა საორგანიზაციო მოთხოვნები, რომლებიც სრკ-მ და კლუბებმა უნდა შეასრულონ შიდა ჩემპიონატის ჩემპიონატის ხარისხის ამაღლებისა და გუნდებში პროფესიონალიზმის დონის ზრდის ხელეწყობის მიზნით;
- შეიქმნა ახალი დანართი #10 - „შუთაუტის (პენლები მატჩის ფრედ დასრულების შემთხვევაში) წესი“

- სადისციპლინო დებულებას დანართი #3-ის სახით დაემატა ფიქსირებული სანქციების ნუსხა.

გამგეობის წევრებმა დეტალურად იმსჯელეს შემოთავაზებულ ცვლილებებზე და ერთხმად დაამტკიცეს საშეჯიბრო დებულების ახალი რედაქცია.

ამასთანავე, სათამაშო გარემოს მართვის ხარისხის გაუმჯობესების მიზნით, გამგეობამ დაადგინა სრკ-ს სადისციპლინო რეგულაციას დაემატოს 7.4 პრიმა პუნქტი და ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

7.4<sup>1</sup> თამაშის უფლების არმქონე მოთამაშის თამაშში მონაწილეობის სავარაუდო ფაქტის შემთხვევაში, პიროვნებებმა წერილობით უნდა მიმართონ, მიაწოდონ სათანადო ინფორმაცია და მხარდამჭერი მონაცემები სრკ-ს სადისციპლინო სამსახურს:

- ა) კონკრეტული შეჯიბრების I ეტაპის (რეგულარული ჩემპიონატი) დამთავრების თარიღიდან 48 (ორმოცდარვა) საათის განმავლობაში.
- ბ) პლეიოფების დროს - კონკრეტული თამაშის დასრულებიდან 48(ორმოცდარვა) საათის განმავლობაში.

მეცხრე საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა კლუბ „ყაზბეგისთვის“ შეღავათების დაწესებას, გამგეობის წევრმა გრიგოლ ქერაშვილმა მოახსენა გამგეობის წევრებს კლუბ „ყაზბეგის“ შესახებ, რომელმაც სულ რაღაც 4 წელიწადში რეგიონული გათამაშებიდან დაიმკვიდრა ადგილი დიდ 10-ში, გამოირჩევა თამაშის ხარისხით და წარმატებულად მუშაობს ბავშვთა რაგბის განვითარების კუთხით, მიუხედავად ადგილობრივი მოსახლეობის სიმცირისა და სხვა ხელისშემშლელი ფაქტორებისა.

გრიგოლ ქერაშვილის აზრით, საქართველოს რაგბის კავშირმა აუცილებლად უნდა წახალისოს „ყაზბეგი“ და დაუწესოს მას სხვადასხვა შეღავათები, როგორც შეიძლება იყოს, მაგალითად, საშეჯიბრო შენატანის შემცირება, სტადიონის ქირის გადასახადის შემცირება, საფესტივალო გუნდებისთვის საჩუქრად ეკიპირების გადაცემა, რაც ხელს შეუწყობს რეგიონში რაგბის განვითარებას და ცხოვრების ხარისხის ამაღლებას.

გამგეობის წევრებმა მოიწონეს გრიგოლ ქერაშვილის შემოთავაზება; სრკ-ს პრეზიდენტმა მოუწოდა სრკ-ს აღმასრულებელ დირექტორს და რეგიონალური განვითარებისა და ინფრასტრუქტურის კომიტეტს შეიმუშავონ კლუბ „ყაზბეგის“ და, შეძლებისდაგვარად, მსგავს პირობებში მყოფ სხვა რეგიონალურ კლუბების წახალისების ზომები და დაეხმარონ მათ სახელმწიფოს რეგიონალური განვითარების პროგრამებზე წვდომაში.

საქართველოს კულტურის, სპორტის და ახალგაზრდობის სამინისტროს მიერ დაწესებული მოთხოვნების გათვალისწინებით, რომლებიც ეხება

- კლუბების მიერ კერძო დაფინანსების მოზიდვას და
- მათი საქმიანობის აუდიტორულ შეფასებებს, რაც ადასტურებს კლუბების მიერ მიღებული საბაზისო დაფინანსების თანხის ათვისებას სრკ-სთან გაფორმებულ ხელშეკრულებაში მითითებული წესითა და მიზნობრივობით

სრკ-ს პროფესიული რაგბის განვითარების მენეჯერმა ივანე დავითაშვილმა მიაწოდა გამგეობის წევრებს ინფორმაცია კლუბების არსებული მდგომარეობის შესახებ.

მან აღნიშნა, რომ ამჟამად დიდი 10-ის მხოლოდ სამ კლუბს ჰყავს სპონსორი, რომელიც აკმაყოფილებს სამინისტროს მიერ დაწესებულ მოთხოვნებს, თუმცა ხსენებულ საკითხზე მუშაობა მიმდინარეობს.

რაც შეეხება აუდიტორულ დასკვნებს, მოცემულ ეტაპზე ეს დოკუმენტები წარმოდგენილი აქვს დიდი 10-ის შვიდ და პირველი ლიგის ექვს კლუბს, რაც დამაკმაყოფილებელია.

მეთორმეტე საკითხთან დაკავშირებით, რომელიც ეხებოდა რეგიონალურ ლიგაში ტრანსფერებზე 3 კაციანი ლიმიტის დაწესების გამო წარმოქმნილ პრობლემებს, გამგეობის თავმჯდომარემ გამგეობის წევრებს განუმარტა, რომ 2021-2022 წლის სათამაშო სეზონში, კონკრეტული ახალი კლუბების შემადგენლობების ძირითადი ნაწილი დაკომპლექტებული იყო მეორე კონკრეტული კლუბიდან განათხოვრებული მორაგბეებით.

სატრანსფერო რეგულაციის ახალი რედაქციით დაწესებული 3-კაციანი შეზღუდვა ეხება ყველა კაცთა ლიგაში გადაადგილებას (მათ შორის მოთამაშის განათხოვრებას). გამომდინარე აქედან, ზემოაღნიშნულ მდგომარეობში მყოფ კლუბებს შეექმნათ 2022-2023 წლის სეზონში გუნდის დაკომპლექტების პრობლემა.

გამგეობის თავმჯდომარემ გამგეობის წევრებს შესთავაზა აღნიშნული პრობლემის გადაჭრის ორი ვარიანტი:

#### **პირველი ვარიანტი**

2.4. სატრანსფერო პერიოდის განმავლობაში სრკ-ს მიერ ორგანიზებულ კაცთა ლიგაში მონაწილე ერთ კონკრეტულ კლუბში(გუნდში) იკრძალება მეორე კონკრეტული კლუბიდან (გუნდიდან) სამზე (3) მეტი მოთამაშის ტრანსფერი.

---

**გამონაკლისი:**

2.4. პუნქტით დადგენილ ლიმიტში არ შედის ერთ კონკრეტული კლუბიდან (გუნდს) მეორე კონკრეტულ კლუბში (გუნდში) მოთამაშის დარეგისტრირება, რომლებიც 2021-2022 წლის სეზონზე ერთი კონკრეტული კლუბიდან (გუნდიდან) მეორე კონკრეტულ კლუბში (გუნდში) იყვნენ განათხოვრებული. ასეთი მოთამაშეების კლუბში რეგისტრაციისთვის აუცილებელია ამ რეგულაციით დადგენილი განათხოვრების ან კლუბიდან განთავისუფლების ფორმით რეგისტრაცია.

**მეორე ვარიანტი**

2.4 სატრანსფერო პერიოდის განმავლობაში სრკ-ს მიერ ორგანიზებულ კაცთა ლიგაში მონაწილე ერთ კონკრეტულ კლუბში(გუნდში) იკრძალება მეორე კონკრეტული კლუბიდან (გუნდიდან) სამზე (3) მეტი მოთამაშის ტრანსფერი.

**გამონაკლისი**

2.4. პუნქტით დადგენილ ლიმიტი არ მოქმედებს იმ შემთხვევაში თუ მოთამაშეთა გადაადგილება ხდება მაღალი ლიგიდან დაბალ ლიგებში.

მსჯელობის შედეგად, გამგეობის წევრებმა 8 ხმით 2-ს წინააღმდეგ დაამტკიცეს მეორე ვარიანტი და დაავალეს შესაბამის სამსახურს სატრანსფერო დებულების ახალი რედაქციის მომზადება აღნიშნული ცვლილების გათვალისწინებით.

---

მეთერთმეტე საკითხი - ზაფხულის ტესტ-მატჩების შეფასება - გადაიდო შემდგომი გამგეობის სხდომისთვის

- მერაბ ანთაძე \_\_\_\_\_
- კობა გიორგაძე \_\_\_\_\_
- მამუკა გორგოძე \_\_\_\_\_
- თორნიკე გოგებაშვილი \_\_\_\_\_



- აკაკი დავითულიანი \_\_\_\_\_
- დავით კაჭარავა \_\_\_\_\_
- გიორგი კობახიძე \_\_\_\_\_
- იოსებ ტყემალაძე \_\_\_\_\_
- გელა ქობულაძე \_\_\_\_\_
- გრიგოლ ქერაშვილი \_\_\_\_\_
- ალექსანდრე ხვედელიძე \_\_\_\_\_